№ 28

კვირა, 6 თებერვალი 1894

**გაზეთი ღირს:**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 . . . | 10 — | 6 . . . | 6 — |
| 11 . . . | 9 50 | 5 . . . | 5 50 |
| 10 . . . | 8 75 | 4 . . . | 4 75 |
| 9 . . . | 8 — | 3 . . . | 3 50 |
| 8 . . . | 7 25 | 2 . . . | 2 75 |
| 7 . . . | 6 50 | 1 . . . | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

1877—1894

# ივერია

№ 28

კვირა, 6 თებერვალი 1894

რედაქცია:

ნიკოლოოზის ქუჩა, 21.

ტფილისი.

**გაზეთის დასაბარებლად:**

და განცხადებათა დასაბეჭდად

უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების კანცელარიას—სასახლის ქუჩა, ბანკის ქარვასლა.

**ფასი განცხადებისა:**

ჩვეულებრივი სტრიქონი 8 კაპეიკი.

ქ ა რ თ უ ლ ი  თ ე ა ტ რ ი

ოთხშაბათს, 9 თებერვალს

ვ ა ლ ე რ ი ა ნ  გ უ ნ ი ა ს

ს ა ბ ე ნ ე ფ ი ს ო დ

ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ ქ-ნი მ. საფაროვის, ბ. ავალიშვილის და ბ-ნი ალექსეევ-მესხიევის, ყიფიანის და ტყვიაველის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება

I

პირველად ახალი პიესა

ცხოვრება

ჩვენ დროინდელი სურათები 2 მოქ. ვ. გუნიასი

ეძღვნება ალექსანდრე ყაზბეგის ხსოვნას

ვასილ ბედკრულაძის როლს შეასრულებს

**ვლადიმ. ალექსეევ-მესხიევი**

II

ალუში

კომედია-ხუმრობა 4 მოქმედებად გადმოკ. ვალ. გუნიას მიერ

1 მოქმედ. ✦ 2 მოქმედ. ✦ 3 მოქმედ. ✦ 4 მოქმედ.

ჯვარის სადგომი ✦ სამხედ. თათბირი ✦ იერიშით მისვლა ✦ გამარჯვ. ნადავლი

მოქმედება სწარმოებს თიანეთში

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნი საფაროვისა, ავალიშვილისა, ჩერქეზიშვილისა, ტარიელოვისა, მაქსიმიძისა, მძინაროვისა და სხ. ბ-ნნი ალექსეევ-მესხიევი, ყიფიანი, ტყვიაველი, სვიმონიძე, გუნია, აწყურელი, შათირიშვილი, კანდელაკი და სხვანი.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია

შეგირდებისათვის კუპონები ლოჟების უკან 60 კაპ.

დასაწყისი სწორედ $7^1/_2$ საათზედ

ქუთაისის ამხანაგობის გამოცემა

№ 7

დაიბეჭდა და ისყიდება

თხზულებანი

გ. წ ე რ ე თ ლ ი ს ა

I ტომი

**ფასი სამი აბაზი**

(5—2)

ტფილისი, 6 თებერვალს

—

სამწუხაროა, როდესაც ადამიანი ვერ ახერხებს კეთილად მოიხმაროს კანონისაგან მინჭებული უფლება; მაგრამ განუსაზღვრელად უფრო სამწუხაროა და გულსაკლავი, როდესაც ასეთი საქმე ემართება მთელს საზოგადოებას.

სწორედ ამ გვარს მდგომარეობაშია ჩავარდნილი ახლა ცხენის-წყლის არხის პირველი განყოფილება: ხონი, გუბი და საწულუკიძეო, რომელმაც აქამდის ვერ ამოარჩია თავის მხრით ზემოხსენებულ არხის საბჭოს წევრი.

როდესაც აღმოჩნდა, რომ პირველი განყოფილება ვერ ახერხებს სათანადო წევრის დანიშვნას, მაშინ წყალთა და მდინარეთა ინსპექციამ მისწერა ქუთაისის გუბერნატორს, რათა მან ამ უწყებასთან შეთანხმებით დანიშნოს ცხენის-წყლის არხის საბჭოს წევრი, რომელიც იქნება აღნიშნული ადგილების ინტერესების დამცველი.

ასეთს მდგომარეობაშია ამ ჟამად ის საქმე, რომელიც დაწყებულია რვა სოფლისაგან სრულიად დამოუკიდებლად, გარეშე გავლენის გაურევლად და დამთავრებულია კიდეც.

თუკი სამის წლის განმავლობაში ამდენმა სოფელმა, სადაც ოცი ათასამდე მცხოვრებია, შესძლო საკუთარის ჭკუითა და ღონით ისე მოეყვანა ეს საქმე, რომ თითოეულს მონაწილეს დღეს წყალი ჭიშკარზე ჩამოუვლის; თუკი ამავე სამი წლის მუშაობის დროს, როდესაც ხალხმა 130 ვერსის არხის გაჭრა შესძლო და მრავალი სხვა შრომა გასწია—დღეს, როდესაც სუფრა გაშლილია და მხოლოდ ამ სუფრაზედ დასხდომაა საჭირო, რადა ასეთი დაბრკოლება შეხვდათ, რომ ერთის წევრის ამორჩევის გულისთვის მოუნდათ უარჰყონ ის უფლება, რომელსაც კანონი აძლევს ხალხს!

თვით-მმართველობა, გამგეობა და გაძღოლა საქმისა ხალხისაგან დიდი რამ არის, და ამის უარყოფა ან გადალახვა, დანაშაულია მთელის ერის წინაშე.

ამ პირველმა საერთოდ გამოწყემულმა საქმემ დაარწმუნა ვაკე იმერეთი, რომ შეერთებულს შრომას დიდის სიკეთის მოტანა შეუძლია და თითოეულის წევრის ჯაფა და მუშაობა უხვად იქნება დაჯილდოვებული.

ამას გარდა თვით დამთავრება ცხენის წყლის არხის გაყვანისა, პირველი გამარჯვება საერთოდ გამოწყებულ საქმისა, სულით ამხნევებს ხალხს, და ახალისებს სხვა-და-სხვა საქვეყნო მოღვაწეობისთვის.

არ არის ისეთი განზრახვა, ისეთი რთული და მძიმე საქმე, რომლის მორევა არ შეეძლოს საერთო ერთგულსა და პატიოსანს შრომას. ის, რაც ერთისა და ათისათვის ძნელია და შეუსრულებელი—ათასის და ათიათასისთვის და, ნამეტურ მთელის ერისათვის—ადვილია და შესაძლებელი. ხალხის გულ-მოდგინე და მხნე მეცადინეობის წინ ყოველი დაბრკოლება დნება და ისპობა. მთელის ევროპის და ამერიკის პროგრესსი, მათი დღევანდელი ბრწყინვალე ცხოვრება დამყარებულია ხალხის საერთო შრომასა და ენერგიაზედ: წაართვით განათლებულს ქვეყნებს თვით მართველობა, მოუსპეთ ერს საქვეყნო საქმეების გამგეობა და ჭირისუფლობა და იგივე ქებული თავის კულტურით ევროპა დაემზგავსება აზიის უფლება-ახდილს, დაბეჩავებულს და დაგლახაკებულს ქვეყნებს...

მაგრამ დაუბრუნდეთ ჩვენს საგანს და გავარჩიოთ, რამდენად საჭიროა და კანონიერი წყალთა და მდინარეთა უწყების წარმომადგენელის აზრი, მიწერილი ქუთაისის ღუბერნატორის მიმართ, იმის შესახებ, რომ ხონის განყოფილებას დაენიშნოს მთავრობისაგან საბჭოს წევრი?

რამდენადაც ვიცით, არსად კანონში არ არი'ს მოხსენებული, რომ ასეთს მდგომარეობაში, როგორშიც ეხლაა ეს საქმე, მთავრობას შეეძლოს თავის თავად საბჭოს წევრის დანიშვნა. ამ საგანზედ გამოცემული კანონი 1890 წ. 3 დეკემბერს, ამის შესახებ არაფერს არ ამბობს, და განზრახვა წყალთა და მდინარეთა უწყებისა კანონს სრულიად არ ჰქონია სახეში.

ამას გარდა, ამ გვარი ღონისძიების მიღება იმიტომაც კიდე არ არის საჭირო, რომ კანონიერი საბჭო ცხენის წყლის არხისა უკვე არსებობს, რომელიც შესდგება: ამ საქმის გამგესაგან—მერაბისა და, მეორე და მესამე განყოფილების წევრთაგან. ეს სამი არჩეული თანამდებობის კაცნი შეადგენენ დღეს კანონიერს საბჭოს, და ამათ შეუძლიათ მოიწვიონ პირველი განყოფილება თავის წევრის ასარჩევად.

რაკი დაარსებულია ისეთი კრებული, რომელსაც უფლება აქვს მოიწოდოს მეგენჭეები წევრის ასარჩევად—ცხადია, აქ დაბრკოლება და საქმის გაძნელება მათ მიერ, რომელთათვისაც ეს იქნება პირად სასარგებლოც იყოს, ყოვლად შეუძლებელია.

ხოლო თუ პირველი განყოფილება გაჯიუტდება და დაადგება უარს—რაიცა ყოვლად დაუჯერებელია—და არ ამოირჩევს საბჭოს წევრს, მაშინ თითონვე დარჩება წაგებული, რადგანაც ამ გვარის საქციელით მართებლობა იძულებული შეიქნება დაუნიშნოს იგი საჭირო წევრი და საქმე მაინც თავის წესზე წავა.

მაშ ვისურვოთ, რო ქუთაისის გუბერნატორმა და წყალთა და მდინარეთა ინსპექციის უფროსმა მიიღონ საშვალება, რათა ხალხისაგან დაწყებული და დამთავრე-

# ფელეტონი

—

**გაცრუებული იმედი.**

(დასასრული პირველი წერილისა *)

IV

მალე შესწყდა «კვალში» მშვენიერი ჰანგები აკაკისა; პოეტმა იუკადრისა ამხანაგი თავ-გასულ უვიცობისა, უნიჭობისა... წავიდა აკაკი და კიდეც დადგა მეუფება ვილაც ბოლქვაძეთა. რა უნდა ითქვას ამ ახლად მოვლენილ „კვალის“ მგოსნებზედ? —სწორედ ის, რაც დობროლიუბოვმა სთქვა ვილაც ალექსანდროვზე:

.... ის იყო კინაღამ თავი მივეცით იმ გვარ ტკბილს ოცნებას, რომელშიაც იყო პავლე ივანეს ძე ჩიჩიკოვი, როცა ათვალიერებდა სობაკევიჩისაგან ნასყიდ გლეხების სიას. ვინ არის ბ-ნი ალექსანდროვი? სად და როგორ განვლო მისმა ახალგაზრდობამ? რად დასცინოდა ბოროტი ბედი? მის წიგნიდამ სჩანს, რომ ბ-ნს ალექსანდროვს, რაც იცის, თავის-თავად უსწავლია; არამც თუ ლექსთ-წყობისა, არამედ მართლ-წერისაც არა გაეგება რა, ხოლო ამავე დროს მსჯელობს იმის შესახებ, თუ როგორ მოეწყოს საზოგადოება, ლაპარაკობს მექრთამეობის და ბანქოს თამაშობის თაობაზედ, პონტერებისა, ბლებისა და ბაკალების შესახებ, რაფაელსა და პერუჯინოსაც-კი ახსენებს... იქნება ღარიბი მოხელეა ვინმე, რომელსაც სიბერეში ალაგი დაუკარგავს ან იმიტომ რომ კეთილ-საიმედო არ იყო, ან იმიტომ რომ შტატები შეამცირეს. იქნება მებატონეა რომელისამე მიყრუებულის სოფლისა, რომელსაც თავის სიცოცხლეში მხოლოდ ერთხელ მოუკრავს ცალი თვალი სატახტო ქალაქისათვის, იქ ორიოდე ლიტერატორი უნახავს და აღგზნებია სურვილი სალიტერატურო ქება-დიდების მოსახვეჭად? ან იქნება სამსახურიდამ გადამდგარი დაჭრილ-დაკოდილი მხედარია, ყმაწვილობაში მოპოვებულის სახელით სტკბება და თავისუფალ დროს მუზათა სამსახურს ანდომებს? ან, ვინ იცის, იქნება თავისით ნასწავლი მამულისშვილია, რომელისთანათა რიცხვი ასე გამრავლდა ამ ჟამად რუსეთში?...“

დაიბუდეს ამ მგოსნებმა „კვალში“ დაიწყეს თავისუფლად ფართაში; აცხვეს და აცხვეს ცხელ ცხელი ლექსები. ბ-ნი ბოლქვაძე ისე წააქეზა გამარჯვებამ და ისე გაკადნიერდა, რომ ბოლოს მოზარდ თაობასაც უძღვნა ერთი ლექსი. მერე რა ლექსი! მოგვყავს ნიმუშად ორიოდე ხანა ამ ლექსებისა; დეე თვით მკითხველმა განსაჯოს, თუ რა თვისებისა უნდა იყოს მგოსნური ნიჭი ამ ლექსის ავტორისა:

გაალამაზე სამშობლო ენა,
იარაღია ისიც შვილისა,
რომ სამუდამოდ ცრემლი მოსწმინდო
ერს, რომელიცა სიკვდილს ელისა(?)

—

იყავ ერთგული შენის სამშობლოს,
იმის მკვიდრისა შემცოდებელი;
ეცადო ორთავ გაახალისო,
ვით ახალისებს დედას მშობელი(?)

„კვალი“ № 44

დიაღ, სწორედ დიდი კადნიერებაა ამ გვარის ნაცოდვილევის ლექსით მოზარდ თაობისა მიმართვა. ეგ საშინელი შეცოდებაა, მაგრამ მაინც ბ-ნი ბოლქვაძე ბ-ნ გვაზავასთან შედარებით შეწყნარების ღირსია. ბ-ნ ბოლქვაძეს უვიცობასთან გულ-წრფელობა და თავაზიანობა მაინც ეტყობა; უთუოდ გაეგება, რომ მართებულობა კაცისათვის მეტი ბარგი არ არის. ბ-ნს გვაზავას-კი, ეტყობა, გამბედაობა და მოურიდებლობა თავის დევიზად გაუხდია. განა სამაგალითო გამბედაობა და ურცხვობა არ არის საჭირო, რომ შვილებმა მამების ჰალარას საქვეყნოდ შეაფურთხონ? ეგ სამაგალითო საქმე—მამათა სამარცხვინო ბოძზე მიკვრა—იკისრა ბუმბერაზმა გვაზავამ. ამისთვის ააჟღერა მან საუცხოვო ხმაზე თავისი ქნარი: „თქვენ წახდით და დაბერდითო“.

მოგვშორდით თქვენი არრა გვსურს
გამოცდილება ქებული;
გვინდა და გვინდა ახალს გუნდს
ბრძოლა თავ-დაკიწყებული

—

სჯობს, მისცეთ ტკბილ-მყუდროებას
გულში დღე-და-ღამ მპოხველი...
(ვიშ, რა მწარე დაცინვაა!)
ვაი, რა ვუთხრა დროებას,
თქვენ კაცად გიცნობს რომელი!

(i b.)

სულ ერთიანად «ბლვირი» არ აადინა, მიწასთან არ გაასწორა ბ-ნმა გვაზავამ საბრალო მოხუცებულები... მერე რას ვაუბრაზებია ასე, რად გაუწირავს ნეტავი ამ გულადს წარმომადგენელს „ახალის გუნდისას“ ძველი გუნდი? რად აითვალწუნა ასე ეგ საბრალო?.. შეიძლება პირადად აწყენინეს ერთმანეთს? თუ-კი ეგრეა, რად ინება მთელის ახალის გუნდის მაგიერ გამკლავება? ვინ არწმუნა, ვინ მიანდო ბ-ნ გვაზავას საქვეყნოდ მოხუცებულების თრევაგინება?!

პირადად ჩვენც ახალს გუნდის წევრად მიგვაჩნია ჩვენი თავი, მაგრამ, არამც თუ არ თანაუგრძნობთ ბ-ნს გვაზავას, პირიქით, მის ურცხობას განცვიფრებაში მოვყავართ. თუ-კი „ძველმა გუნდმა“ რაიმე ყურადღების ღირსი გაჰხადა ბ-ნ გვაზავას ნაწარმოები, რაღა უნდა სთქვას მან თუ ეს: „ვაი ჩვენი ცოდვის ბრალი, ახალგაზრდობაზე ცოტა გულ-გატეხილი ვიყავით, მაგრამ თუ ასე მთლად წყალ-წაღებული იყო იგი, არ გვეგონაო!!..

შეიძლება არც ჩვენ ვიყოთ ბრმა თაყვანისმცემელი „ძველის გუნდისა“, შეიძლება არც ჩვენ ვუკმევდეთ გუნდრუკს მარტო ძველობისთვის: შეიძლება ბევრს რასმეში არ ვეთანხმებოდეთ «ძველებს» მაგრამ ეს ხომ არ გვაძლევს «ახლებს» უფლებას ცო-

*) იხ. „ივერია“, № 27.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბული საქმე ისევ იმ ხალხს ეკითხოს, რადგანაც იმან უფრო კარგად იცის—ვინ არის ღირსი ქვეყნის ნდობისა და ვინ—არა.

ვისურვებთ, რომ პირველი საერთო შრომითა და მხნეობით დაარსებული საქმე არ შეფერხებულიყოს და ხალხს, რომელმაც ამოდენი ღვაწლი დასდო, შემდეგისთვისაც გული არ გასტეხოდეს ისეთის შემთხვევით, რომელიც ჩამოაცლის ამ საგანს თავის ნამდვილს ხასიათსა და მნიშვნელობას.

მეველე

# ახალი ამბავი

*** ჩვენ მივიღეთ 118 მან. და 20 კაპ. განსვენებულ ალექსანდრე ყაზბეგის დასაფლავების შემდეგ დარჩენილი იმის სახელობაზედ დაარსებულ ფონდში ჩასარიცხად. ეს ფული გაეგზავნა „წერა-კითხვის გამავრცელებელს საზოგადოებას“. ამას გარდა, როგორც შევიტყეთ, პატივცემულ თ. კ. ი. მუხრან-ბატონს თავისის ხარჯით შეუკვეთნია ძეგლი განსვენებულის მწერალის საფლავზედ ასაგებად.

*** გუშინ ტფილისის გუბერნატორის მოადგილემ გრაფ ტიზენჰაუზენმა მისწერა ქალაქის მოურავს, რომ ტფილისში გადამდები სნეულებანი, ისე გავრცელდა, რომ ტფილისის მიხეილის საავადმყოფოში ალაგი აღარ არის ავადმყოფებისათვის და მრავალ მძიმედ ავადმყოფებს საავადმყოფო უარს ეუბნება ულაგობისა გამო. ამიტომ გრაფი ტიზენჰაუზენი სთხოვს ქალაქის მმართველობას, ამ ახლოს ხანში გამართეთ დროებითი საავადმყოფო გადამდებ სენით ავადმყოფებისათვისაო. ქალაქის მმართველობამ ამ ორის წლის წინად საზამთროს მოედანზედ ააგო ფიცრულის ფარდული 60 კაცისა ხოლერით ავადმყოფთათვის, მაგრამ საჭიროებამ არ გამოიწვია მაშინ ამ ფარდულებში ავადმყოფების დაწვენა, და ამიტომ იქ ამ ჟამად ავადმყოფების დაწვენას შიში არა აქვს. მხოლოდ ეს ფარდულები უნდა მოათბონ, რასაც იმდენად დიდი ხარჯი არ მოუნდება.

*** ტფილისის გუბერნატორის მოადგილეს აუწყებენ, რომ სოფ. ვოსალოში (ყარაიაზის საბოქაულო) ყვავილი გაჩნდა და პირველსავე დღეს ექვსი ბავშვი გახდა ავად ამ სენით, ორი გარდაიცვალა და ოთხი-კი ისევ ავად არისო. ამის გამო გუშინ საგუბერნიო მმართველობის სამკურნალო განყოფილებამ სოფ. ვოსალოში ექიმი გაჰგზავნა ამ სენის მოსასპობელ ღონისძიებათა სახმარებლად და იმათ ყვავილის ასაცრელად, რომელნიც ჯერ ავად არ გამხდარან.

*** ქალაქის გამგეობამ გუშინ მიიწვია ქალაქში ყავახანების და სარძეეების პატრონები და გამოუცხადა, რომ ქალაქის სასარგებლოდ 1600 მან. აქციზი უნდა შემოიტანოთო. ამათ ერთ ხმად უარი განაცხადეს, ჩვენ მაგდენის ფულის შემოტანა არ შეგვიძლიან და ჩვენს ყავახანებსა და სარძეეებს დავკეტავთო.

*** ს. გურდღელაური. (თელავის მაზრა): საშინელი და შემაძრწუნებელი ამბავი მოხდა 30 იანვარს სალამოთი. ერთი გლეხი გ.—შვილი მისულიყო თავის მეზობელს და მოგვარე კაცთან, რომლისათვისაც ეთხოვებინა ურმის ღერძი და, რომ დასჭირებოდა თითონ, თურმე უნდა წამოეღო. უფროსი ძმა არ დახვედროდა შინ და უმცროსებს უარი ეთქვათ, მაგრამ მაინც სდომებოდა წაღება. ამასობაში წაძიძგილავებულიყვნენ და სულ უმცროს ძმას გაეშველებინა. როგორც შევიტყეთ ვითომც ქვა ესროლოს ღერძის პატრონს და რომელმაც გააშველა, ამას კიდევ დაუფიქრებლივ მოევლო ხელი უროსათვის, დაერტყა ყურზევით და სულ ნახევარ საათს არ უცოცხლია, სული განუტევა. საწყალი ძალიან ღარიბი და წვრილ-შვილი იყო. ახლა უფრო წყალ-წაღებულები შეიქნებიან მისი ცოლ-შვილი. ეს უბედურება ხომ უბედურებაა და უარესი ის არის, რომ დღეს ოთხი დღე შესრულდა და არ იქმნა ვერ გაჰბედეს შემოწმება ამ გარემოების იმათ ვისიც ჯერ არს, მაშინ როდესაც ცხვირ-წინ არის კურდღელაური. სასურველი-კია, რომ ამისთანა შემთხვევებში თავის დროს მიხედონ და არ ახანებდნენ შემოწმებას. სხვა არა იყოს-რა, ხალხი ველარ უდგება სიახლოვეს ცხედარს ამ გვარს შემთხვევებში.

*** ს. ტელეფა (შორაპნის მაზრა): ჩვენს სოფელშიაც აპირობენ სკოლის გამართვას. ამ საქმეს თავობს ქ-ნ. დესპინა ფალავას ასული. წინადაც იყო აქ სკოლა, მხოლოდ ეს სკოლა სამრევლო სკოლა იყო აქაურ მღვდლის მიერ დაარსებული და, როგორც სხვა ამისთანა სკოლები, ცოტა ხელ-მოკლე იყო და ღარიბი. მასწავლებლობდა ამ სკოლაში მღვდლის შვილივე, ხონის საოსტატო სემინარიაში კურს-დამთავრებული. ხოლო მას-უკან, რაც ეს მასწავლებელი მღვდლად ეკურთხა, სამრევლო სკოლის საქმეც შეფერხდა. ახალი სკოლა, როგორც ამბობენ, სადირექციო იქნება და ორი მასწავლებელი ეყოლება: ქალი და კაცი საპედაგოგიო განათლება მიღებული.

ჩვენსკენ საშინელი თოვლ-ჭყაპია ჰქრის ცივი ქარი. ტალახიც დიდია და მისვლა-მოსვლას აბრკოლებს. ავადმყოფობათა შორის გავრცელებულია ინფლუენცა. ხალხს სარჩო ცოტა აქვს და დიდს მოთმენაშია. სიღარიბე გლეხ-კაცობაში დიდია.

## კორესპონდენცია

**სოფ. ჭობარეთი** (ახალციხის მაზრა), 30 იანვარს. ამ სოფელში 14—15 კვამლი ქართველებია. თათრებიც სცხოვრობენ, მაგრამ მათი რიცხვი დაჭეშმარიტებით არ ვიცი. ჭობარლებს ეკკლესია არ უვარგოდათ; თუმცა ჰქონდათ იგი, მაგრამ ძალიან ცუდს მდგომარეობაში იყო და თავის დანიშნულებას არ შეესაბამებოდა. ბლაღოჩინი მამა დ. ხახუტაშვილი არა ერთხელ არიგებდა თავის ქადაგებით ხალხს, ეკკლესია შეაკეთეთ, გაამშვენეთო. მისმა მეცადინეობამ ნაყოფი მოიტანა და 15 კვამლმა ქართველობამ იკისრა ქვითკირის საყდრის აშენება. მ. დ. ხახუტაშვილმა მაშინვე იმავე სოფელში მცხოვრებლებს—შეძლებელ გლეხთა შორის ხელის მოწერა გაჰმართა ამ ფრიად კეთილის საქმისათვის და ყველამ, შეძლებისა დაგვარად, ფული შეაწერა; აღმოჩნდა იმისთანა კაციც, რომ 100 მან. გამოიღო. ჭობარლები ეკკლესიის აშენებაში არავითარსამე ხარჯს და დაბრკოლებას არ ერიდებოდნენ და დღეს ეს ეკკლესია მკვიდრად და საშვილი-შვილო სიმტკიცით აშენებულია და დამთავრებული. ქება და დიდება ამ მცირე რიცხვს ღვთის მოყვარე ჭობარელებისას, რომ მათ არაფერში უკან არ დაიხიეს და ეს კეთილი საქმე საკეთილოდ დააბოლოვეს.

ეკკლესია მზად იყო დღეს და ამიტომ დღესვე მოხდა მისი კურთხევა. აკურთხა წესისამებრ მამა ბლაღოჩინმა ხუთის სხვა მღვდლის თანამწირველობით. კურთხევაზედ ჭობარლებს დაპატიჟებული ჰყავდათ გარეშემო ქართველ სოფლების მცხოვრებლები, აგრეთვე ახალციხიდამაც რამდენიმენი. კურთხევას ბევრი ხალხი დაესწრო. კურთხევის შემდეგ შესაფერი ქადაგება-დარიგება წარმოითქვა და მამა-ბლაღოჩინმა ხალხს სხვა-და-სხვა ქართველთ წმინდანების ცხოვრების „ბროშურები“ დაურიგა. კურთხევის გათავების შემდეგ სტუმრებს გაუმასპინძლდნენ ჭობარლები გულ-უხვად და დღესასწაულობდნენ სიხარულით ამ ფრიად ბედნიერ დღეს....

იქ დამსწრე მიპატიჟებულთ თავიანთი წვლილი არ დაიშურეს და ზანზალაკის ჩამოტარებით ეკკლესიაშივე-მისდა სხვა და სხვა ხარჯის დასაფარავად—შეიკრიბა 50 მანეთამდე. შეწირულობის მხრივ უფრო შენიშვნის ღირსნი იყვნენ: სოფ. საროში მცხოვრები ბ-ნი სვიმონ მაღრაძე, რომელმაც 10 მანეთი შესწირა, ახალციხის „დისტანციის“ უფროსი იაშვილი, ბ-ნი პავლე სეხნიაშვილი (ახალციხელივე); ტოლოშის მასწავლებელი ბ-ნი ნათენაძე და სხვ., რომელთაც, ვგონებ, სამ-სამი მანეთი შესწირეს.

ეხლა ს. ჭობარლებს აქვთ მშვენიერი კოხტა საყდარი შესაფერის სივრცისა და თავისუფლად შეუძლიანთ სთქვან: „ჩვენ აღვასრულეთ კეთილი და ღვთისა და კაცის სასიამოვნო საქმეო“—.

თებერვლის ფეხის შემოდგმამ ჩვენს მხარეს ცოტა სხვა ფერი დასდო: ყინვები და სიცივეები როგორღაც იკარგება და დიდს იმედში ვართ, რომ კარგი ამინდები დაგვიდგება. ამასთანავე ისიც უნდა მოვიხსენოთ, რომ მუსხის ხიდის გაკეთება ამ ყინვებში შეჩერებული იყო ცოტას ხნობით და ახლა, ცოტა რომ გათბა ჰაერი, ხელ-ახლად მიჰყვეს მუშაობას ხელი. ჯერ-ჯერობით შუა ბურჯი თითქმის ჩადგმულია და, თუ ღმერთმა ხელი მოუმართათ და კვლავ ყინვები აღარ დაიჭირა, იმედია, მალე დაათავებენ ბ. ბოქაულის მეთაურობით და მეცადინეობით.

ვ. კოპტონაშვილი.

სოფ. მუსხი.

## წერილი რედაქციის მიმართ

ნება გვიბოძეთ, თქვენის გაზეთის შემწეობით მივაქციოთ ჩვენთა ქველ-მოქმედთა ყურადღება შემდეგს სამწუხარო გარემოებას:

ტფილისში გახლავთ ერთი დიდად გაჭირვებული ოჯახი ხელოსნის კანო ქართველიშვილისა, რომელიც ჭკუიდამ შეიშალა და მთელი სახლობა დარჩა მის ამის ანაბარად. სახლობაშია: თვით შეშლილი, მისი ცოლი ოთხის წვრილ-შვილით და დედა შეშლილისა. ძმა-კი თვეში ორ თუმანსა და ორ თუმან ნახევარს მლივს შოულობს. რაც რამ ებადა ოჯახს, ულველივე გაჰყიდა და სწამლობდა საცოდავს ოჯახის მარჩენალს, მაგრამ წამლობამ ვერა უშველალა რა. პირველ რვა თვეს კიდევ შეშლილი საშიში არ იყო, ხოლო შემდეგ უფრო მოერია ავადმყოფობა და მისი შეშლილობა ფრიად საშიშა შეიქნა. მიჰმართეს სამკურნალოს, მაგრამ იქ ად-

---

ცხლად მათის დამარხვისას. ამ «ძველებს» რაიმე ღვაწლი მაინც მიუძღვით ქვეყნისადმის; ამათს ნაწარმოებ—ნამოქმედარზე თვით საზოგადოებაც მიგითითებსთ. „ახლებს“-კი საზოგადოებისთვის ჯერ არაფერი შეგვიძენია და მაშასადამე ვერც ვერაფრით მოვიწონებთ თავს. რომ გამოვდგეთ და საჯაროდ კვეხნა-ბქიობა დავიწყოთ-ეგ ხომ ჩვენს სახელს კარგს ვერაფერს შესძენს; პირიქით, სულელობის, ქარაფშუტობის სახელი დაგვივარდება.

მართალია, ყველგან ჰქონია ადგილი და აქვს დღესაც ძველსა და ახალ თაობის ერთმანეთთან შებრძოლებას. ხშირად სასტიკი ომი ატეხილა ამ ორთაობას შორის და ერთ-ერთის გამარჯვებით გათავებულა. ჩვენშიაც,—ყველას გვახსოვს,—მოხდა ამგვარი შებრძოლება, მოხდა ფიცხელი ომი „ძველთ“ და „ახალთ» შორის. ამ შებრძოლებამ დაჰბადა მთელი წიგნი მახვილ-გონიერ საპოლემიკო ლექსებისა, რომელთაც ეხლაც დიდის სიამოვნებით ვკითხულობთ. «კოლო-ბუზებს, აკაკიებს და ბაკაკიებს» შეეძლოთ სახელოვანი ძველის თაობის ლირიკოსი საპაცილოდ აეგდოთ და «ხარაბუზა იარანალის» სახელით მოენათლათ, მისთვის რომ ამ «კოლო-ბუზებს, აკაკიებს და ბაკაკიებს» ქვეყნის წინაშე რაიმე ღვაწლი მაინც მიუძღოდათ; თავიდანვე ნათლად ემჩნეოდა მათს შუბლს რჩეულთა ბეჭედი...

V

ამ ბ-ნს გვაზავას-კი რით მოსწონს, ნეტავი, თავი? ნუთუ იმ ლექსით, რომელიც „ძველების» წინააღმდეგ გალაშქრების ცოტა წინად დაჰბეჭდა „კვალში“ და რომელსაც „შანშე“ ეწოდება („კვალი“ 39)? ჩვენ-კი გულ-წრფელად უნდა ვაღვიაროთ, რომ ამისთანა უმსგავსო რამ დიდიხანია არსად წაგვიკითხავს. თვით ახპატელოვის მიერ დაბეჭდილ საბაზაზხანო წიგნებშიაც, ვგონებ, ვერ ჰპოვოს კაცმა ამისთანა ქართულის ენის და ლექსთა-წყობის შეგინება. აბა, მიბრძანეთ, ღვთის გულისათვის, რასა ჰგავს ეს:

შანშემ გაალო თვალები *)
და ცხენი შეაჩერა მან,
გულსა მოუდგა ალები,

*) ჰგავს, სძინებია ამდენს ხანს ჩვენს მხედარს! მერე კისრით რომ გარდმოვარდნილიყო ცხენიდამ!?

ტვინს—მწუხარება მღერამან;
წმინდა ლაჟვარდი ეჩვენა
ჯოჯოხეთისა კამარად,
და ბოროტებად მის ბრწყენა
ჩამოქსოვილი მთაბარად...
არ მესმის!
ან ეს:
ველის ბოლოზე ფაცხაა,
მას შემოჭხარის ტყე-ველი;
მასში უცნობი ვინცდაა,
ნატვრით გულისამრხველი(?)

ყველაფერზე უფრო საყურადღებო ამ სამაგალითო ნაწარმოებში მოქეიფე ახალგაზდობის სიმღერაა; ეგ სიმღერა ამტკიცებს, რომ «შანშეს» ავტორი ღრმა ფილოსოფიის მოყვარეც ყოფილა:

მოდით, ძმებო, დავლიოთ,
გავატაროთ დროება
და ლხენაში გავლიოთ(?)
სოფლის ამაოება;
არის, იმგრის, ჭრიალებს
მიუწდომი ბუნება;
ემონება მის ძალებს
ხალისი და გუნება.
აზრი, გრძნობა შენ ცისა
ალი ნუ გეგონება,
ქვაა გული კაცისა,
მტვერი—მისი გონება.
მიზნათა აქვსთ ამ ალებს
მიწის ნოყიერება....
. . . . . . . . . . .

ეგ „მიზნათა აქვსთ ამ ალებს მიწის ნოყიერება“ სრულიად არ გვესმის. შეიძლება ჩვენს ფილოსოფოსს უნდოდა ეთქვა, თუ „ამ ალების“ (აზრ-გრძნობის) დანიშნულება (და არა მიზანი) მიწის ნოყიერებააო. რის თქმაც არ უნდა ნდომებოდეს ავტორს, ვარწმუნებთ, რომ ეგ მისი ფილოსოფიური სიმღერა გივიშვილის ლოთიბაშურ სასიმღერო ლექსებთან შედარებით არაფრად ჩავარდება. ამ უკანასკნელის ლექსებში უფრო მეტი აზრიც მოიძებნება და პოეზიაც.

კიდევ ორიოდე ნიმუში:

რა მოხდა შემდეგ?—აი, რა:
შეწყდა თარი და დაირა...

ნეტარ ხსენებულის რუსის მწერლის ტრედიაკოვსკის ლექსებს დასცინიან, მაგრამ ეგ „აი, რა“ «დაირა» ძალიან ჰგავს:

Екатерина Великая, о!
Поѣхала въ Царское Село?

ან კიდევ:

ვერ მიხვდა მიზეზს—რა იყო,
გულს რამ მოუდგათ ალები?
და შინ სიჩქარით წაიღო

უველამ სევდის ზარჯუალები..

აწ-კი კმარა, თორემ თუ სამაგალითო ადგილები ვარჩიეთ, ბოლოს მთელი „შანშე“ შეგვექნება ამოწერილი. საზოგადოდ, ჩვენ, ეგ „შანშე“ რაღაც სოლცარ უნიჭო ნათარგმნად უფრო მიგვაჩნია და არა ორიგინალურ ნაწარმოებად.

იქნება, ბ-ნმა გვაზავამ ასე საშინლად მისთვის შელახა ქართული ენა და ლექსი, რომ თავის «შანშეში» რაიმე ღრმა იდეია უნდოდა გაეტარებინა. შეიძლება ღრმა აზრის პატრონი იყოს „შანშეს“ ავტორი, მაგარ ლექსი არ ემარჯვებოდეს. საუბედუროდ, ვერც ამ მხრით წარმოადგენს ეგ თხზულება რასმე თავმოსაწონებელს და სასიქადულოს. ავტორს მოუსურვებია, რომ მხედარი შანშე—ეგ „გულითა და გონებით განვითარებული კაცი“ კლდეღრეში გარდაჩეხილიყო და მით საბრალო დედა ჭკუიდამ შაეშალა და ცხარე ცრემლებით აეტირებინა. მერე რისთვის მოაქმედებინა ჩვენმა ავტორმა თავის მხედარს ამისთანა საცოდაობა?—მისთვის რომ თურმე ჩვენი ქალები სიყვარულს ეძებენ და ჩვენი ახალგაზდობა-კი ლოთობას ეწე-

გილი არ აღმოჩნდა და საცოდავი კანო მხოლოდ კანდიდატად იქმნა ჩარიცხული. ვიდრე რიგი ერგებოდეს, შეშლილი ისევ თავის სახლშია, რომელიც დიდს ტანჯვასა და წამებაში ჰყავს: ემტერება ლამპებს და, დაინახავს თუ არა ანთებულს, სცდილობს, დაამტვრიოს, ცოლსა და შვილს იტყუებს საალერსოდ და სცდილობს დაარჩოს. ოჯახმა ხელ-ფეხი შეუკრა თოკით, მაგრამ თოკს შეშლილი კბილებით ღრღნის, ითავისუფლებს თავს და კვლავ განაგრძობს თავის საშიშ საქმეს. ერთის სიტყვით ჯოჯოხეთის ცეცხლშია მთელი ოჯახი, თუ ამ შეშლილის საცოდაობით, თუ შიშით, თუ სიღარიბის გამო და არ იცის, რა წყალში გადავარდეს. ყოვლად სამადლობელი საქმე იქნება, თუ ვინმე, თავის ღვთის გულისათვის, მოაწოდებს ორიოდე შაურს ამ საცოდავს ოჯახს და ეცდება ცოტაოდნად მაინც დაეხმაროს ასე განწირულ-გაწამებულებს.

ოჯახი სცხოვრობს დიდუბეში, რკინის გზის სამკურნალოს პირდაპირ, სომეხთა მღვდლის აღაიანცის სახლებში.

ოლგა ბექანიშვილისა.

## ქუთაისის სცენა.

„ცოდვის შვილი“ დრამა ალ. დიუმასი (შვილი) 3 მოქმ. თარგმანი ქუჯისა (შალვა დადიანისა).

(დასასრული *)

რაც შეეხება თვით წარმოდგენას, უნდა ვსთქვა, რომ ასე მწყობრად და შნოიანად გატარებული პიესა იშვიათად მინახავს ჩვენს სცენაზე, როლები ხომ ყველა მოთამაშემ იცოდა. ეს, ვთქვათ, დიდი ღირსება არ არის, მაგრამ ამ ბოლოს დროს ესეც სანატრელი გაგვიხდა, არ ვიცი, მის გამო, რომ საზოგადოება გულ-გრილად ეკიდება წარმოდგენებს და ამით აუცრუეს გული არტისტებს, თუ სხვა რამ მიზეზის გამო. ამას გარდა თითქმის ყველა მოთამაშემ შეგნებით და გრძნობით ჩაატარა თავისი როლი.

ქუჯი, მოპენეფისე, ჩემის აზრით გამოჩენილ არტისტად ვერ ჩაითვლება, მაგრამ ზოგიერთ როლებში ურიგო არ იქნებოდა, რომ ცოტათი მაინც სასცენო ხმა ჰქონდეს და უფრო თავისუფალი მიხვრა-მოხვრა სცენაზე. ამ გზობისას-კი თითქოს მისი ხმაც შეეფერებოდა იმის როლს და ასიამოვნა კიდეც მაყურებელი საზოგადოება; როლიც ისეთი მადლიანი ჰქონდა, რომ იწვევდა თანაგრძნობას. ქ. ეფ. მესხისა ხომ მუდამ კარგია. რა როლიც უნდა მისცეთ, არ შეგარცხვენთ, არ დაასახიჩრებს; ეხლაც, მით უფრო, რომ ეს როლი შესაფერი იყო, მშვენივრად ითამაშა—თავიდამ ბოლომდე უნაკლულოდ გაატარა. განსაკუთრებით კარგი იყო, როცა მარტო დარჩა ადრიანასთან და აღზნებით ეალერსებოდა თავის შვილს.

ჩხეიძის ქალი ნამდვილი კუკური იყო. ძლიერ მშვენოდა ბავშური კილო, ბავშური საქციელი და ცბიერება და თვით ჩაცმულობაც; საუცხოვო იყო, როცა გაბუტვით წამოიძახა: „არ მინდა მადამ გიშარს წავყვეო.“ თითქო ხმაც გაუკეთდა. არ ვიცი, ყური შევაჩვიეთ, თუ მართლა გაუკეთდა ხმა. ეს უკანასკნელი მოსაზრება თუ გამართლდა, დარწმუნებით შეგვიძლიან ვსთქვათ, რომ ამ მოკლე ხანში ჩვენს სცენას ერთი განძი შეეძინება. თავიდამვე ეტყობოდა ამ ახალგაზდა ქალს, გრძნობის გამოხატვა და როლის შეგნება ეხერხება. სცენის ხელოვნებას ხომ ვარჯიშობით შეითვისებს. ეხლა ვატყობთ, რომ ეს ქალი თანდათან წარმატებაში შედის.

ბ-ნი კ. მესხი ოკტავის როლს ძლიერ აზრიანად თამაშობდა; ბოლოს მაინც საუცხოვო იყო, როცა თავლაფ-დასხმული გამოაძევეს სახლიდამ. ისე აიწურა და ისე «წახდა», რომ შესაცოდებელი შეიქნა. მხოლოდ უნდა შევნიშნოთ, რომ ტანისამოსი ერთობ უვარგისი ეცვა, თითქო ნათხოვარი ყოფილიყოს და, ხომ მოგეხსენებათ, პარიზელ ფრანტისათვის ტანისამოსის სიკოპწიავე პირველი საქმეა.

ყველაზედ მეტად-კი ქ-ნ ნატ. მესხისამ გაგვაკვირვა; ისე ცოცხლად წარმოგვიდგინა აჩქარებულის ხასიათის, თავ-ნება უბრალო ქალი, რომლის სურვილს საზღვრავს მხოლოდ მისი შემძლებლობა. ქალი გონება მახვილი და გამჭრიახი იყო, რომლის სადა და კეთილს გულს სიყვარულის სახმილი ისე ძლიერ მოსდებია, რომ გულში ვეღარ დასტევია და გასივებულ იჭვიანობად გარდაჰქცევია, ისე წარმოგვიდგინა, ვამბობთ, რომ ვიფიქრეთ, სწორედ ახალი ნიჭიერი არტისტი ქალი შეუძენია სცენასაო. შარშან ძლივს გვესმოდა მაყურებელს მისი ხმა და, ცოტა არ იყოს, უფერულად ატარებდა თავის როლს, მაგრამ ამ მძიმესა და პასუხ საგებელს როლში რიგიანი იყო და პირნათლად ასრულებდა თავის მოვალეობას.

თეატრი თითქმის ცალიერი იყო. ცოდვა კია ასე გულ-გრილათ ვეკიდებოდეთ ჩვენსავე საქმეს.

კ. ბ—ძე

*) იხ. „ივერია“, № 27.

## ნარკვევი

—

საფრანგეთის გაზეთების უმეტესობა იმ აზრისაა, რომ რუსეთ-გერმანიას შორის დადებულს სავაჭრო ხელ-შეკრულობას დიდი მნიშვნელობა აქვსო. ზოგიერთი გაზეთები ამ საგანს მხოლოდ ეკონომიურად ჰსინჯავენ, მეორენი-კი ამბობენ, რომ, ამას გარდა, პოლიტიკური მნიშვნელობაცა აქვს ხელშეკრულობასაო. ასეთის აზრისაა სხვათა შორის, გაზ. “Temps“-ი, რომელიც სწერს:

ეკონომიურად ხელშეკრულობის განსახილველად საჭიროა, რომ სრული შინაარსი მისი ვიცოდეთ, მაგრამ პოლიტიკის მხრივ-კი რა მნიშვნელობაცა აქვს ეს ეხლავე ნათლადა სჩანს. აწინდელი პოლიტიკური მდგომარეობა ევროპისა იმ გვარია, რომ ყოველ ცოტად თუ ბევრად შესანიშნავ ამბის შემდეგ ჩვენდა უნებურად ვკითხულობთ: რა გავლენას იქონიებს ეს ამბავი საზოგადოდ სამთა კავშირის მშვიდობიანობასა და ან ერთ-ერთს ამ სახელმწიფოზედ ცალკეო. ამ ხელშეკრულობის დიადს მნიშვნელობასაც მხოლოდ იგი თუ უარჰყოფს, ვისაც არ ესმის, თუ რა დიდი გავლენა აქვს ეკონომიურს ინტერესს ერთა პოლიტიკურს დამოკიდებულებაზედ. აშკარაა, ეს მნიშვნელობა კარგად ესმით ბერლინშიაც და პეტერბურგშიაც და კარგად იციან, რომ ეს ხელშეკრულობა, საეკონომიო ნიადაგზედ აღმოცენებული, შესუსტებს მწვავს სადიპლომატიო დამოკიდებულებასაც. როგორც ემჩნევა, ბ-ნი კაპრივი სცდილობს თავისის წინა-მოადგილის პოლიტიკას დაუბრუნდეს. თუმცა უწინდელივე ჰსურს სამთა კავშირს დაემყაროს, მაგრამ ამასთან ისიც უნდა, რომ რუსეთისა და გერმანიას შორის აღადგინოს ის უწინდელი მეგობრული დამოკიდებულება, როგორიც ჰსუფევდა ამ ორის სახელმწიფოს სამეფო გვარეულობის შორის თითქმის მთელს საუკუნეს. კარგად ესმის, რომ თუ გერმანია და რუსეთი სრულიად შემოსწყრნენ ერთმანეთს, გერმანია სამთა კავშირში პირველობას ვეღარ იჩემს და ადგილი ავსტრიას უნდა დაუთმოს, ავსტრიას, რომელიც პატიოსანის შუამავლის როლის აღსრულებას არის მოწადინებული. ძნელად საფიქრებელია, რომ ბ-ნ კაპრივის პოლიტიკას, მეტადრე ამ უკანასკნელ ორის წლისას, თვალები არ აეხილებინოს კაპრივისათვის.

**

«Новое Время» ძალიან სწყრება, რომ კავკავს ახლო გერმანელები ჩასახლებულან. ამ გერმანელებს მოჰზვერებიათ იჯარით აღება მამულებისა და მთავრობისათვის უთხოვნიათ, თითოეულს 65 დესეტ. სამოსახლო ადგილი მოგვეცითო, 1,000 სასწავლებლის შესანახად და 10,000 დესეტინაც სხვა ახალ-მოშენეთა გადმოსასახლებლადაო.

განა შესაძლებელია, რომ ეს აზრად მოუვიდეს თვით რუსის გლეხკაცს-კი არა, ჩვენის ერის გულმხურვალედ მოყვარულსაც-კი. რამდენი ხანაა, ეს ახალ მოშენენი დიდძალის შეღავათითა სარგებლობენ და ეხლა კიდევ იძახიან, საკუთრებად დაგვითმეთ თითოეულს 65 დესეტ. მიწაო! თუ ამდენის ხნის განმავლობაში ვერ მოახერხეს საკუთარი ქონება მოეპოვებინათ დასასახლებლად სადმე, რაც საეჭვოა და ძნელად დასაჯერებელი,— რაღა საფუძველი და უფლება აქვთ რუსეთის ხაზინას მსხვერპლი მოსთხოვონ ასეთ უსარგებლო, მცონარე და ხელ-გაუნძრეველ ახალ-მოშენეთა სასარგებლოდ. დროა შეიგნონ გერმანელმა ახალ-მოშენებმა ის რუსეთა საზოგადოებაში უკვე დამკვიდრებული ჭეშმარიტება, რომ კეთილდღეობა გერმანელ ახალშენებისა უმაღლესის კულტურის ნაყოფი-კი არა, რუსეთის ერის მსხვერპლის ნაყოფია. თუმცა ასეა, მაინც გერმანელი მადლობასაც არ ეუბნება რუსეთს, პირ-იქით, სცდილობს ეკონომიური მონა გაიხადოს თავისი და სიძულვილით უყურებს. დროა თავი დაგვანებოთ იმ ადამიანთა მფარველობას, რომელნიც ასის წლის განმავლობაში ვერ მიეჩვივნენ მათის კეთილის-მყოფელის რუსეთის ვერც სიყვარულს და ვერც პატივისცემასაო.

## რუსეთი

„Правит. Вестникъ“-ში უკვე გამოცხადებულია კანონი „სანადელო“ მიწების გაუყიდველობის შესახებ. ეს კანონი რამდენისამე დადგენილებისაგან შესდგება. ჯერ ერთი, ისეა გამართული საქმე, რომ „სანადელო“ მიწა მთელს საზოგადოებას არ შეუძლიან გაჰყიდოს, თუ მართლა დიდად საჭირო არ შეიქმნა და ძალიან არ გაუჭირდა. ამას გარდა, რომ ამისათვის საჭირო საზოგადოების ორ მესამედის წევრთა უმრავლესობის მიერ დამტკიცება „სანადელო“ მიწის გასყიდვის განაჩენისა, იგივე განაჩენი დამტკიცებულ უნდა იქმნას ჯერ ადგილობრივ საგლეხო საქმეთა საკრებულოს და მერე შინაგან საქმეთა მინისტრის მიერ, ფინანსთა მინისტრთან მორიგებით, ხოლო ზოგიერთს შემთხვევაში სახელმწიფო ქონებათა მინისტრის თანხმობაც არის საჭირო, თუ გასაყიდ მამულის ფასი 500 მანეთს აღემატება. მეორე, ცალკე გლეხთა საკომლო მამული შეიძლება შეისყიდოს ან იმავე საზოგადოების წევრმა, რომელშიაც ეს გლეხ-კაცი მოსახლობს, ან იმან, ვინც იმ სოფლის საზოგადოებას მიეწერება. მესამე საზოგადოებათა და

---

ვა. ვსთქვათ, რომ ბ-ნი გვაზავა მართალს ამბობს ქალების შესახებ. დავუჯეროთ, რომ ჩვენი ქალები ამგვარის სიმღერით ეგებებიან ჩვენს განვითარებულს ახალგაზდას.

შენთვის მომაქვს ყვავილი,
ჩემგან მოკრეფილია;
მომაქვს გული გაშლილი,
ღილი გადახსნილია.
თუ ამ ქვეყნად რამ არის,
შემყრთი ამ არის
და მოლურჯო კამარის
იგი—სიყვარულია;
დანარჩენი ტყუილია.
სამშობლოცა იქ არი,
აზრიც, გრძნობაც მდიდარი,
სიტკბოებაც მის დარი,
სადაც სიყვარულია;
დანარჩენი ტყუილია;
მო, გულში ჩამეკარი,
მოასვენე გონება...

მერე რა ნახა ამ დალოცვილმა შანშემ სამარცხვინო ამ გვარს ქალების სიმღერაში? მით უკეთესი, თუ ჩვენი ქალები მართლა სიყვარულს ეძებენ. განა დიდი ნუგეში არ არის ახალგაზდა განვითარებულ მებრძოლისთვის, როდესაც მის გვერდით მისი მოყვარული გული სძგერს?.. განა ქალი სიყვარულისათვის გასაკიცხია და სამარცხვინო ბოძზე მისაკრავი?! ვინ არ იცის, თუ რა ძალაა ეგ სიყვარული კაცის ცხოვრებაში: საზოგადოებრივის განვითარების უმთავრეს ფაქტორად, ბერკეტად არის იგი მიჩნეული. შეიძლება „შანშეს“ ავტორს სხვა რამ ჩვენი ქალების ჩრდილმიმფენი ნაკლულევანება ჰქონდა სახეში?.. ეგ სხვაა... ხოლო, საზოგადოდ, ქალის სიყვარულის ძაგება არაფერი გონიერებაა. სერვანტესის უკვდავი გმირიც ებრძოდა ქარის წისქვილებს, მაგრამ იმას ხომ ჭკუის შერყევას სწამობდნენ!..

არც მოქეიფე ახალგაზდობის ნახვას უნდა მიეყვანა ჩვენი შანშე განწირულებამდის, თუკი ის, როგორც ავტორი გვარწმუნებს, მართლა „გულით და გონებით განვითარებული“ იყო. განვითარებისა რა მოგახსენოთ და ძალიან გულ-უბრყვილო კაცი-კი ყოფილა, თუ ჩვენი ქვეყანა უმანკო ედემად ჰქონდა წარმოდგენილი და მისი ახალგაზდობა უნაკლულოდ. უნდა სცოდნოდა, რომ ჩვენში ახალგაზდობა შრომის მაგიერ ქეიფს ეწევა. უნდა სცოდნოდა ისიც, რომ ამ ლოთებს გამოფხიზლება, გამოღვიძება უნდა ბუკით, ნაღარით... უნდა სცოდნოდა, რომ ბრძოლაა მათთან საჭირო და არა მათის დანახვისათანავე კლდეში გადავარდნა.

უთუოდ ბარათაშვილისებურმა «განწირულმა სულის კვეთებამ» გაიტაცა ჩვენი შანშე; იმასაც მოუნდა, უთუოდ, თავის ცხენით «უვალის გზის» გათელა... გათელა თუ არა ეგ გზა შანშემ, არ ვიცით, და დედა რომ აატირა ეგ-კი შევიტყეთ... ყოველს შემთხვევაში ჩვენ არ ვურჩევდით შანშეს ბარათაშვილის მიბაძვას; ბარათაშვილი თვით გენიოსი მხედარი იყო და მარჯვე მერანზედაც იჯდა... არ უნდა დაივიწყოს ბ-ნმა გვაზავამ, რომ, რაც დიდის ჭკუის და ნიჭის კაცს ემარჯვება, ის მოკლე ჭკუის კაცისთვის მიუწდომელია, შეუძლებელია. დიადი საქმე უგუნურის ხელში ხშირად სასაცილო გამოდის.

დიდს ბოდიშს ვიხდით წინაშე მკითხველებისა, რომ მათი ყურადღება ამდენს ხანს ბ-ნ გვაზავას ნაწერებზე შევაჩერეთ. ეს მისთვის-კი არ მოვიქმედეთ, რომ ამ ნაწერების ნაკლულევანებათა გამოაშკარება დიდ ვაჟკაცობად მიგვაჩნდეს. ეს ნაკლულევანებანი ჩვენდა მიუთითებლადაც თვალში ეცემა ყველას. ვიცით, რომ ამ გვარი გულ-მოდგინება ამ შემთხვევაში მით უფრო არ შეგვშვენის, რომ ბ-ნმა გვაზავამ საქვეყნოდ შეინანა „ივერიაში“ გაგზავნილ წერილით თავისი შეცოდება. ჩვენ მხოლოდ ის გვეინტერესება, იმას ვკითხულობთ, თუ „კვალმა“ რად დაუთმო ადგილი თავის ფურცლებზე ამ გვარს ნაწარმოებს. თუ დაბეჭდა „კვალმა“ ბ-ნ გვაზავას მიერ მოხუცებულების გინება, უთუოდ მისთვის, რომ მისი თანამგრძნობელი იყო; თუ დაბეჭდა «შანშე», უთუოდ მისთვის, რომ მოეწონა მისი სიმშვენიერე. როგორც ვიცით, ყოველს დროგამოშვებითს გამოცემას მოეთხოვება მიმართულება და მაგ მიმართულებას ჰხატავს მასში მოთავსებული თხზულებანი. მაშასადამე, „კვალიც“ იმ აზრისა ყოფილა, რომ «ძველს გუნდს» წესი უნდა აეგოს. კიდევაც ამისთვის იყო, რომ „კვალმა“ საქვეყნოდ აღიარა თავის მე-34 №-ში:

თანამშრომელნი სრულად გვყავს
მაღალი ნიჭით შემკულნი,
ქვეყნის იმედი, ბარაქა
სულ ახალგაზდა რჩეულნი,
თქვენგან აბუჩად გამხდარნი,
ჩვენს წრეში ჩაბუდებულნი;
მათია დრო და სვეობა,
თქვენ დარჩით აბარგებულნი.

უთუოდ „ახალგაზდა რჩეულთა“ შორის «კვალის» რედაქციის თვალში უპირველესი ადგილი უჭირავს ბ-ნს გვაზავას, როგორც უშიშარს მებრძოლს...

ეგ კიდევ არაფერი: «კვალმა» თავის კრიტიკოსის ბ-ნ ხომლელის პირით ქვეყანას აუწყა: «უკანასკნელ მოდგმის ახალგაზდათა შორის გ. გვაზავას ნიჭი ყურადღების ღირსიაო» («კვალი» № 43). ჩვენის აზრით-კი დღეს, როდესაც ხელში გვაქს თითქმის ყველა ჩვენთა წარჩინებულ ლირიკოსთა ნაწარმოების ცალკე გამოცემა, «შანშესთანა» ლექსების ჩმახვა დიდი სირცხვილია.

ჩვენ ღრმა პატივის-მცემელნი ვართ ბ-ნ ხომლელის გულ წრფელობისა და კეთილშობილურის მიმართულებისა; კიდეც ამისთვის იყო, რომ მისმა ამ გვარმა წინ-დაუხედავმა მსჯელობამ, ცოტა არ იყოს, გული გვატკინა..

ილ. პონტელი

დეკემბერი 1893 წ.

გლეხთ ჩამორთმეული აქვთ უფლება ,,სანადელო“ მიწის საზოგადოებასა და კერძო კაცებთან დაგირავებისა, თუნდა გამოსყიდულიც ჰქონდეთ ეს მიწები. მეოთხე: ვადამდე გამოსყიდვა და განსაკუთრება ,,სანადელო“ მიწისა კერძო მესაკუთრეთ მხოლოდ საზოგადოების ნება-რთვით შეუძლიანთ.

## გასართობი

—

ხოლერობას ერთს სამმართველოს ხაზინადართან მივიდა მოხელე და ამ თავით სთხოვა ჯამაგირი.

— არ შემიძლიანო, უთხრა ხაზინადარმა: ეხლა ისეთი დრო არ არის, რომ კაცი ენდოს ვისმე, აი, კურცხალაძემაც გამომართვა ხუთი თუმანი ამ თავით და ორის დღის უკან -კი გარდაიცვალა.

— რასა ბრძანებთ, ბ-ნო ნიკო, ნუ თუ ისეთს კაცად მიცნობთ, რომ მეც მაგისთანა სისაძაგლე ჩავიდინო და თქვენთან პირ-შავად გამოვიდეო?! შესძახა გულ-უბრყვილო მოხელემ, რომელსაც ფული ძალიან უჭირდა, რადგან მოხუცი დედა, ხოლერით გარდაცვლილი, ჰყავდა დასამარხი.

**

ერთი ცრუ და ტყუილის მოლაპარაკე ამერიკელი ამბობდა თურმე:

— ერთი ამერიკელი ოინბაზი და თვალთ მაქცი ისე ლამაზად აჯავრებს მამლის ყივილს, რომ მზესაც-კი ატყუებს და მზეც-კი, იმისის „ყიყლიყოთი“ გაცრუებული, ჩვეულებრივზედ ჩქარა ამოდის ცაზედაო.

**

ერთს ვექილსა ჰკითხეს:

— ტყუილ საქმეებს რადა კისრულობთ სასამართლოში საწარმოებლად?

— რა ვქნაო- უპასუხა ვექილმა: მართალი საქმეც ბევრი ვიკისრე, წავაგე და ეხლა აღარ ვიცი, როგორ საქმეს მოვკიდო ხელიო.

## გამოსადეგი ცნობა

—

გაწმენდა კარებისა ფანჯრების ჩარჩოებისა და სხვ. გახსენით ერთ ჭიქა ცხელ წყალში ერთი სტოლის კოვზი სოდა და სრულიად გააციეთ. ამ წყალში ოდნავ დაასველეთ ღრუბელი და გასწმინდეთ კარები და სხვა; რაც უნდა ჭუჭყიანი იყოს და მველი ლაქები ჰქონდეს, საჩქაროდ გაიწმინდება, მხოლოდ შემდეგ გაწმენდისა სუფთა ნახმარ ტილოთი კარგა გააშრალეთ.

# დეპეშა

4 თებერვალი

**პეტერბურგი.** გამოცხადებულია განკარგულება, რომ 1 იანვრიდამ ხაზინის ხელში გადავიდა ნიკოლოზის რკინის გზა, პეტერბურგ-ვარშავისა, მოსკოვ-ნიჟნი-ნოვ გოროდისა, მიტავისა, რიგა-დვინისა და ბოლდერაასისა.

**ლონდონი.** გუშინ საღამოს გრინიმში, ზედ სამეფო ობსერვატორიასთან, დიდი აფეთქება მოხდა. აფეთქების ადგილას იპოვეს საშინლად დამახინჯებული ფრანგი ანარხისტი, სახელად ბურდენი და მაშინვე გაჰგზავნეს სამკურნალოში. ნახევარ საათს შემდეგ ბურდენი გარდაიცვალა ისე, რომ ერთი სიტყვა არ უთქვამს. ამბობენ, რომ ბურდენს ჯიბით ყუმბარა მიჰქონდა, ფეხი წაუსხლტა და ამის გამო გასკდა ყუმბარაო.

**პარიზი.** გამომძიებელი კვლავ ჩვენებას ართმევს ჰანრის, მაგრამ ის ისევ ჩუმად არის წინანდებურად და არას ამბობს, ვისთან რა კავშირი და მიწერ-მოწერა ჰქონდა, ან სად სცხოვრობდა ლონდონსა დ პარიზში.

5 თებერვალი

**პეტერბურგი.** დღეს ნავთის მწარმოებელთა პირველმა და მეორე დასმა დაადგინეს: შედგენილ იქმნას კავშირი წინანდელ ხელ-შეკრულობის მცირეოდნად შეცვლით; ამორჩეულ უნდა იქმნას ცხრა წარმომადგენელი და ამათგან სამი აგენტი საზღვარ-გარედ საქმის წარსამართავად შეღავათნი ნავთის გასატანად გამორკველი იქნება რკინის გზის საქმეთა დეპარტამენტის განსაკუთრებულს საბჭოში ნავთის მწარმოებლებთან ერთად.

გაზეთ ,,Новости“-სა და ,,Петербургская Жизнь“-ის გამოცემა სტამბითურთ სააქციონერო წესით იქმნება წარმართული. ამ ამხანაგობას ეწოდება ,,უმაღლესად დამტკიცებული სააქციონერო საზოგადოება ბეჭდვითის საქმისა პეტერბურგს გუტენბერგი“. პასუხის-მგებელი რედაქტორი იქნება ო. კ. ნოტოვიჩი; იგივეა თავმჯდომარე საზოგადოების მმართველობისა.

პეტერბურგის ბირჟა, 4 თებერ.

| | მყიდველისა. | გამყიდველისა. | გაყიდულისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | 7,42 | — ,, | — ,, |
| ტამოჟნის კუპონები . | 149 1/2 | — ,, | — ,, |
| მანეთიანი ვერცხლის ფული. . . . . | — , | — ,, | — ,, |
| 5°/0 პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . | — ,, | — ,, | 243 3/4 |
| —მეორისა . . . . | | — ,, | 227 |
| 4°/0 მესამე სესხისა. . | — ,, | — ,, | — ,, |
| სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის მომგებ. ფურცელი . | — ,, | — ,, | 190 |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა: | | | |
| 6°/0 . . . . . | 101 | — ,, | — ,, |
| 5°/0 . . . . . | 98 1/4 | — ,, | — ,, |
| ქუთაისის ბანკის 6°/0. | 101 | — ,, | — ,, |
| 5°/0. . . . . . | 98 1/4 | — ,, | — ,, |
| 5°/0 ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა | 98 1/4 | — ,, | — ,, |


# განცხადებანი

პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველდღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

**ბ. ა. ნავასარდიანი**, 11—12 საათ. იმათ, ვისაც სჭირს სნეულებანი: სახირურგიო ვენერიული და სიფილისი.

**ვ. მ. ჩიქოვანი**, 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა და ნერვებისა—ტანში ტკივილებისა.

**დ. გ. რუდკოვსკი**, 10—11 საათ. სნეულებანი: შინაგანი, ბავშვებისა და დედათა სქესისა.

**ი. ფ. პრონტასევიჩი**, 11 1/2—12 1/2 საათ. სნეულებანი: ყურისა, ყელის, ცხვირის და გულ-მკერდისა.

**ექიმი ქალი ა. მ. ტურბოვიჩი.** 12 1/2—1 საათ. სნეულებანი. დედათა სქესისა.

**ა. პ. კარაპეტიანცი**, 1—1 1/2 საათ. სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით:

**ა. გურკო**, 6—7 საათ. სნეულებანი: ვენერიული და შინაგანი.

**ბ. ა. ნავასარდიანი**, 7—7 1/2 საათამდის.

**ქ. ი. ფრანციუსი**, 7—7 1/2 საათ. სნეულებანი: ყურისა, ყელისა, და ცხვირისა, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით.

რჩევა-დარიგების და რეცეფტის დაწერის ფასი ათი შაური; ფასი კონსილიუმის და ოპერაციებისათვის—მორიგებით. სამკურნალოს საწოლიცა აქვს ავადმყოფთათვის.

**დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.**

---

**კახეთის ახლად შემდგარს ვენახების პატრონთ ამხანაგობა**, დაარსებულია იმ აზრით, რომ ადგილობრივ და შიდა რუსეთის ბაზრებში გაიტანოს ნამდვილი კახური ღვინო ამ ამხანაგობის წევრთა ვენახებისა. ამხანაგობა მოქმედებას დაიწყებს ამა წლის 5 თებერვლიდგან.

ნარდად და წვრილ-წვრილად გაიყიდება ტფილისს, ამ საზოგადოების საწყობ სარდაფებსა და მაღაზიებში; 1) მიხაილოვის ქუჩაზედ, სლივიცკის სახლში; 2) ერევნის მოედანზედ, თამამშოვის ქარვასლაში.

(10—3)







## კბილის ექიმი
## ა. ი. ორბელი

სოლოლაკზედ, საკუთ. სახლებში №№ 14—16

ავადმყოფებს მიიღებს:

დილით 8-დგან 12 საათამდე.

საღამოთი 4-დგან 6 საათამდე.

**კვირა-უქმე დღეებში**

დილის 8 საათიდგან ნაშუადღევის 2 საათამდე. (250—156)



# „ივერია“

ამ 1894 წელს გამოდის ყოველ-დღე, გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ მოსდევენ კვირა-უქმეებს. ფასი გაზეთისა:

| | | | |
|---|---|---|---|
| 12 თვით . . . . | 10 მ.—კ. | 6 თვით . . . . | 6 მ.—კ. |
| 11 ,, . . . . | 9 ,, 50,, | 5 ,, . . . . | 5 ,, 50,, |
| 10 ,, . . . . | 8 ,, 75,, | 4 ,, . . . . | 4 ,, 75,, |
| 9 ,, . . . . | 8 ,, —,, | 3 ,, . . . . | 3 ,, 50,, |
| 8 ,, . . . . | 7 ,, 25,, | 2 ,, . . . . | 2 ,, 75,, |
| 7 ,, . . . . | 6 ,, 50,, | 1 ,, . . . . | 1 ,, 50,, |

საზღვარ-გარეთ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ ,,ივერია“ მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარედ მცხოვრებთა უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით: Тифлисъ. Въ редакцію ,,ИВЕРІА“.

თუ ტფილისში დაბარებული გაზეთი ტფილისს გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმემ, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; სხვა ყოველის ადრესის შეცვლაზე—ორი აბაზი.

თუ თვის განმავლობაში დაიბარა ვინმემ გაზეთი არა მთელის წლით, მას მხოლოდ შემდეგის თვის პირველ დღიდგან გაეგზავნება. განცახადება მიიღება გაზეთის რედაქციაში.

### ფასი განცხადების დასაბეჭდად

ა) მეოთხე გვერდზედ თითო ჯერ სტრიქონი—8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი—30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი—60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოიანგარიშება იმის კვალობაზე, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერები, წერილები და კორესპონდენციები რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. ხელ-ნაწერები, ან საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქნება. ხელ-ნაწერს, რომელიც დაბეჭდილი არ იქნება, თუ ერთის თვის განმავლობაში პატრონმა არ მოიკითხა, მერე რედაქციას ვეღარ მოსთხოვს.

არა-გვარს მიწერ-მოწერას დაუბეჭდელ ხელ-ნაწერებისა და წერილების შესახებ რედაქცია არა ჰკისრულობს.

პირისპირ მოსალაპარაკებლად რედაქცია თავისუფალი იქნება ყოველ-დღე, კვირა-უქმეებს გარდა, ათ საათიდგან პირველ საათამდე და საღამოობით 6-დგან 7 1/2 საათამდე.

რედაქცია იმყოფება: ნიკოლოზის ქუჩაზე, 21.



მ ი ი ღ ე ბ ა ხ ე ლ ი ს მ ო წ ე რ ა

1894 წლისათვის

ყოველ თვიურ ქართულ ჟურნალ

## „მ ო ა მ ბ ე“-ზედ

| | 1 წლით | 6 თვით | 3 თვით |
|---|---|---|---|
| ფასი გაგზავნით კავკასიისა და რუსეთის ქალაქებში . . . . . . . . . . . | 10 მან. | 6 მ. | 4 მ. |
| საზღვარ გარეთ . . . . . . . . . | 13 მან. | 7 მ. | 5 მ. |

ვისაც წლიური ფასის ერთად შემოტანა ეძნელება, შეუძლიან შემოიტანოს: 1 იანვრამდე 4 მან., 1 მაისამდე 3 მან. და 1 სექტემპრამდე—3 მან.

ხელის მოწერა მ იღება ტფილისში, ჟურნალ „მოამბის“ რედაქციაში, რომელიც იმყოფება ლორის-მელიქოვის ქუჩაზე № 13.

ქალაქ გარეთ მცხოვრებთათვის ადრესი: Тифлисъ, редакція „Моамбе“.

რედაქტორი ალექსანდრე ჭყონია — გამომცემელი ნიკოლოზ ღოღობერიძე

# ТОВАРИЩЕСКІЙ ОБѢДЪ
## ПО СЛУЧАЮ 75-ЛѢТІЯ
Императорскаго С.-Петербургскаго университета

*состоится 8-го февраля въ 3 1/2 часа дня*

**въ залѣ „Тифлисскаго Кружка“.**

Цѣна обѣда (съ шампанскимъ и другими винами и ликерами, жженкой, а также считая музыку, телеграммы и все прочее) 7 рублей.

Гг. бывшіе студенты С.-Петербургскаго университета и другихъ высшихъ учебныхъ заведеній могутъ пріобрѣсть билеты: у 1) прис. пов. А. С. Френкеля (Саперная ул.. д. Ключарева и въ окружномъ судѣ; 2) Ю. Н. Милютина (Гудовича ул., № 2); 3) В. Н. Богословскаго (въ помѣщеніи закав. отд. госуд. двор. зем. банка, на Сололакской ул.), 4) Н. Ѳ. Илляшенко (Эриванск. площадь, камера слѣдоват. 2-го отдѣл.); 5) А. А. Іоаннисіани (въ редакціи газ. „Ардзганкъ“) 6) кн. В. Н. Черкезова (Новая ул., № 7) М. И. Черникова (въ первой классической гимназіи); 8) въ конторѣ газ. „Кавказъ“; 9) въ конторѣ газ. „Новое Обозрѣніе“; 10) въ конторѣ газ. „Тифлисскій Листокъ“; 11) въ центральной книжной торговлѣ (3—3)


Доз. ценз. Тифлисъ, 5-го Февраля 1894 г. — სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა. — რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე